ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის ჟურნალი

№2, 2019

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ელზა ჩაჩანიძე*

პირის ღირსების დაცვა სიტყვიერი შეურაცხყოფისას ძველ ქართულ სამართალში

პირის ღირსების ხელყოფა შესაძლებელია, როგორც ქმედებით, ისე სიტყვიერად. სიტყვიერი შეურაცხყოფა ქმედებით განხორციელებულ შეურაცხყოფასთან შედარებით პირის ღირსების ხელყოფის უფრო მსუბუქ ფორმას წარმოადგენს. სტატიის მიზანია, პირის ღირსების სამართლებრივი დაცვის შესწავლა, კერძოდ, სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ძველი ქართული სამართლით დაწესებული პასუხისმგებლობის საკითხი. ამ მიმართულებით განხილულია ნორმები ქართული სამართლის ძეგლებიდან, სასამართლო პრაქტიკა, ისტორიული წყაროები. სამართლებრივი ტერმინების განმარტების საფუძველზე დახასიათებულია დელიქტის შემადგენლობის ნიშნები, კანონმდებელთა მიერ მითითებული სანქციები შედარებულია პრაქტიკაში გამოყენებულ სასჯელებთან. ძველი ქართული სამართლის კაზუისტური ხასიათი ვლინდება აღნიშნულ დელიქტებთან მიმართებითაც. ამ გარემოების გათვალისწინებით სტატიაში ცალკე არის გამოყოფილი და დახასიათებული სასულიერო პირების, ქალის, ყმის მიერ ბატონის და ვერბალური შეურაცხყოფის სხვა შემთხვევები. მიუხედავად დასახელებული გარემოებისა სამართლის ძეგლებში სიტყვიერი შეურაცხყოფის ზოგადი ნორმებიც არის, რაც მიანიშნებს, რომ დასჯადი იყო არა მარტო ნორმებით გათვალისწინებული კონკრეტული სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები, არამედ სამართალი ზოგადად იცავდა პირის ღირსებას. სასჯელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, როგორც შეურაცხყოფილის, ისე შეურაცხმყოფელის სოციალურ სტატუსი. აღნიშნულ ქმედებებთან დაკავშირებით უფრო მეტად ქონებრივი სანქციები გამოიყენებოდა და საზღაურის გადახდა ხშირად შეურაცხყოფილის სასარგებლოდ ხდებოდა. მიუხედავად აღნიშნულისა, ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ ძველ ქართულ სამართალში სიტყვიერი შეურაცხყოფა კერძო დელიქტს წარმოადგენდა, რადგან ამ შემთხვევაშიც განმსაზღვრელი იყო თუ ვის მიმართ განხორციელდებოდა შეურაცხყოფა.

საკვანძო სიტყვები: *ღირსების დაცვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, გინება, ქონებრივი საზღაური, სისხლის ფასი, საუპატიო.*

1. შესავალი

პირის პატივის და ღირსების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები მოიცავს ცილისწამებას და შეურაცხყოფას. თავის მხრივ შეურაცხყოფა შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქმედებით, ისე სიტყვიერად. კვლევის საგანია ძველ ქართულ სამართალში სიტყვიერი შეურაცხყოფისას პირის ღირსების სამართლებრივი დაცვა. აღნიშნული ქმედების შესახებ ნორმების მოძიება, შემადგენლობის ნიშნების დახასიათება და სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის დაწესებული სასჯელების ანალიზი.

ძველ ქართულ სამართალში სიტყვიერი შეურაცხყოფის გამომხატველი ტერმინია გინება. *სულხან-საბა ორბელიანის* განმარტებით გინება ბილწად ხსენებას, წაბილწვას ნიშნავდა.[1] როგორც განმარტებიდან ჩანს გინების მნიშვნელობა მხოლოდ სიტყვიერ შეურაცხყოფით არ შემოიფარგლებოდა და ასევე ქმედების გამომხატველიც იყო. *ევსტათი* მცხეთელის მიერ მამისეული რჯულის უარყოფა სარწმუნობის შეგინებად ითვლებოდა.[2] სომხური სამართლის 251-ე მუხლით ჩადენილი „ავჴორ-

---

* სამართლის დოქტორი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.

1 *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო *ი. აბულაძემ*, თბ., 1991, 159; ასევე განმარტავს ამ სიტყვას დავით ჩუბინაშვილი. *ჩუბინაშვილი* დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, მ-2 გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო *ა. შანიძემ*, თბ., 1984, 322. გინება - შეურაცხ-ყოფა, უპატიოება, ლანძღვა. *აბულაძე ი.*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, 93.

2 *ბაქრაძე ა., თვარაძე რ.* (შემდგენელნი), ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987, 253.

ცობა“ განიხილებოდა როგორც შეგინება.[3] იგივე შეიძლება ითქვას მოსეს სამართლის 31-ე და 33-ე მუხლებზეც, სადაც საუბარია ქალწულთან და გათხოვილ ქალთან კავშირის დამყარებაზე.[4] *დავით ბატონიშვილის* სამართალშიც ტერმინი შეგინება მრუშობასთან მიმართებაში არის გამოყენებული (მუხ. 193).[5] ცრუ დასმენაც შეიძლებოდა ასევე „შეგინებად“ ჩათვლილიყო.[6] რადგან გინების ცნება ქმედებასაც მოიცავდა, კანონმდებელი აწესებს რა პასუხისმგებლობას სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ერთმანეთისაგან მიჯნავს გინებას და ქმედებით განხოცრიელებულ სხვა სახის „უპატიობას“. კათალიკოზთა სამართლით, ვინცა „კათალიკოზსა და ებისკოპოზსა აგინოს და უპატიურობა ჰკადროს“ სჯულის კანონის მიხედვით უნდა დასჯილიყო.[7] ნორმაში ცალკე არის მოხსენიებული „გინება“ და „უპატიურობა“.[8] უპატიურობაში შესაძლოა ქმედებით შეურაცხყოფა იგულისხმებოდეს. ყოველ შემთხვევაში ზუსტად იმის თქმა შეიძლება, რომ უპატიურობის ცნება ამ შემთხვევაში გინებას არ მოიცავდა.

ნ. ხიზანაშვილი განიხილავს რა *ბექა-აღბუღას* სამართალს, გინებასთან მიმართებაში აღნიშნავს, რომ მართალია გინება საათაბაგოში დასჯადი იყო, მაგრამ აღნიშული არ შეეხებოდა გლეხკაცობას. დასჯადი იყო სოციალურად უფრო მაღლა მდგომი პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა. მისი აზრით, ამას ადასტურებს „ლაშქარსა ზედა“ გინებისათვის ოთხი ათასი თეთრის დაწესება[9] და ქალის გინებისათვის თორმეტი გლეხის „დაურვება“. ასევე მითითება, რომ „საბატიობას უნდა გამონახვაჲ.“[10]

ბაგრატ კურაპალატის სამართალში არსებული ნორმები სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს. სამი მუხლი სასულიერო პირების გინებას ეხება (ბექა-აღბუღას სამართლის 106-108 მუხლები),[11] ერთი – ქალის გინებას (ბექა-აღბუღას სამართლის 130 მუხლი),[12] ერთი – შესაძლოა ჩაითვალოს გინების ზოგად შემადგენლობად, რადგან საუბარია სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის სასჯელის დანიშვნის ზოგად პრინციპზე (ბექა-აღბუღას სამართლის მუხლი 131)[13] და ბოლოს, ერთი ნორმა შეურაცხყოფის სპეციალურ შემადგენლობად შეიძლება ჩაითვალოს (ბექა-აღბუღას სამართლის მუხლი 129).[14]

---

3 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ.,1963, 314-315.

4 იქვე, 118, 119.

5 *ფურცელაძე დ. (ტექსტის გამომცემელი),* სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ., 1964, 109.

6 ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 140-ე მუხლში საუბარია სასულიერო პირის ცილისწამებაზე და დაბეზღებაზე. დასახელებული მუხლის ბოლოს მითითებულია, რომ ამით პირმა „აგინა კრებასა“. *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ.,1963, 165-166.

7 სამართალი კათალიკოზთა. მუხ. 17. *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 396.

8 უპატიობა, უპატიოება, უპატიურება - პატივის ახდა, ბიაბრუობა. *ჩუბინაშვილი დ.*, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მ-2 გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო *ა. შანიძემ*, თბ., 1984, 1264. ბიაბრუობა - სახელის გატეხა. *ჩუბინაშვილი დ.*, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მ-2 გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო *ა. შანიძემ*, თბ., 1984, 107.

9 *ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ.,* რჩეული თხზულებები, დასაბეჭდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1982, 490; ბაგრატ კურაპალატის სამართალი (ბექა-აღბუღას სამართლის 130-ე მუხლი). *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 467.

10 *ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ.,* რჩეული თხზულებები, დასაბეჭდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შეინიშვნები დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1982, 489. ბაგრატ კურაპალატის სამართალი (ბექა-აღბუღას სამართლის 130-ე მუხლი). *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 467.

11 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 465.

12 იქვე, 467.

13 იქვე.

14 იქვე.

2. სიტყვიერი შეურცხყოფის ზოგადი შემადგენლობა

ჩამოთვლილ ნორმათა რაოდენობის მიხედვითაც შესაძლოა ითქვას, რომ ძველი ქართული სამართალი დიდ ყურადღებას უთმობდა პირის ღირსების დაცვას. შემადგენლობები ჩამოყალიბებულია არა მარტო იმ ფაქტორის გათვლისწინებით ვის მიმართ იყო გინება განხორციელებული, ან სად იყო ქმედება ჩადენილი, არამედ მოცემულია სიტყვიერი შეურაცხყოფის ზოგადი შემადგენლობაც. 131-ე მუხლში კანონმდებელი აღნიშნავს, რომ „თუ უღირსმან საბატიოს აგინოს, მას უფრო მეტი მართებს." როგორც უკვე ზემოთ იყო მითითებული ეს ნორმა ზოგადად სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის სასჯელის დანიშვნის პრინციპს გამოხატავს. ტერმინი „მართება" განმარტებულია, როგორც „ვალად ედვას",[15] ე. ი. მოვალე არის.[16] ამდენად, პირის ვალდებულება იზრდება, თუ ის თავისზე საპატიო პირს შეურაცხყოფდა. გინებისას როგორც შეურაცხყოფილის, ისე მაგინებელის სოციალურ სტატუს რომ ექცეოდა ყურადღება სასჯელის დაკისრებისას ამის შესახებ 130-ე მუხლშიც არის საუბარი: „მამკაცისა და დიაცისა საბატიობასა უნდა გამონახვაჲ." მაგრამ გლეხის მიერ გლეხის გინება დასჯადი ქმედება თუ იყო? *ბაგრატ კურაპალატის* სამართლით (ბექა-აღბუღას სამართლის 129-ე მუხლი) „თუ კაცმან კაცსა უსამართლოდ აგინოს ლაშქარსა ზედა, ოთხი ათასი თეთრი დაუურვოს."[17] „ლაშქარსა ზედა" ნიშნავს ჯარის წინაშე გინებას.[18] კაცის მიერ კაცის გინება მიანიშნებს, რომ როგორც შეურაცხმყოფელი, ისე შეურაცხყოფილი ერთი სოციალური სტატუსის მქონენი იყვნენ. ასევე ზუსტად განსაზღვრული სანქციის დაწესებაც ოთხი ათასი თეთრის ოდენობით ამაზე უნდა მეტყველებდეს. 131-ე მუხლის მიხედვით, უღირსის მიერ „საბატიოს" გინება უფრო მკაცრად უნდა დასჯილიყო.[19] 129-ე მუხლში კი გინების დასჯის ეს პრინციპი კანონმდებლის მიერ გამოყენებული არ არის. უღირსის მიერ უღირსის გინება და უღირსის მიერ აზნაურის გინების შემთხვევაში ერთი მოცულობის ქონებრივი საზღაური ვერ იქნებოდა გამოყენებული. *ბაგრატ კურაპალატის* სამართლის წიგნის ფრაგმენტში სისხლის ფასის მოცულობა არ არის მოცემული. *ბექა-აღბუღას* სამართლით გლეხის სისხლის ფასი ოთხასი თეთრი იყო, ხოლო ის გლეხი, რომელსაც „პატრონი იცნობდა სიკეთეზედა" შეფასებული იყო ათას თეთრად (მუხ. 11).[20] 129-ე მუხლში საზღაურად ოთხი ათასი თეთრის დაწესება ბევრად აღემატება გლეხის სისხლის ფასის მაქსიმალურ მოცულობას, რაც გამორიცხავს, რომ აღნიშნული მუხლი გლეხის მიერ გლეხის გინებისათვის განსაზღვრავდეს პასუხისმგებლობას. სავარაუდოდ 129-ე მუხლი წარჩინებულთა სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ითვალისწინებდა სასჯელს და დაწესებული საზღაური მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს საპატიო პირის გინებისათვის. დასჯის ზოგადი პრინციპიდან თუ ამოვალთ ნაკლებად დასაშვებია, რომ „დამცრობილი", უციხო, უმონასტრო აზნაურის და დიდებულის პატივი ერთნაირად ყოფილიყო შეფასებული. თუმცა შესაძლო კითხვა გაჩნდეს, იქნებ 129-

---

15 *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო *ი. აბულაძემ,* თბ., 1991, 439.

16 *ჩუბინაშვილი დ.*, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მ-2 გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო *ა. შანიძემ*, თბ., 1984, 671.

17 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 467.

18 ლაშქარი - დიდი ჯარი სამტერო. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო *ი. აბულაძემ,* თბ., 1991, 408; ლაშქარი, ლასქარი - სპა, ჯარი. *ჩუბინაშვილი დ.*, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მ-2 გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო *ა. შანიძემ*, თბ., 1984, 645.

19 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 467.

20 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 429.

ე მუხლი ოთხი ათასი თეთრის გადახდას დიდებულის გინებისთვის აწესებდა? ნორმით დაწესებული საზღაური დიდებულის სისხლის ფასის მეათედს წარმოადგენს. 108-ე მუხლში მღვდლის პატივი მისი სისხლის ფასის მესამედით არის განსაზღვრული.[21] 129-ე მუხლიც სიტყვიერი შეურაცხყოფის კვალიფიციურ შემადგენლობას წარმოადგენს და ნაკლებად სავარაუდებელია, რომ ამ შემთხვევაში საზღაური სისხლის ფასის მეათედი იყო. კანონმდებელი მიუთითებს, რომ გინება უსამართლო უნდა ყოფილიყო. შეურაცხყოფილი პირის მხრიდან ბრალეულობა მაგინებლის პასუხისმგებლობას გამორიცხავდა. საზღაურის გადახდა შეურაცხყოფილის პირის სასარგებლოდ ხდებოდა, რაზეც მიანიშნებს ტერმინი „დაუურვოს“ გამოყენება. ტერმინი „დაუურვოს“ სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს, როგორც სისხლის ფასის გადახდა.[22]

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ „ლაშქარსა ზედა“ გინება არ ითვალისწინებს გლეხის მიერ გლეხის გინებას, არ ნიშნავს, რომ საქართველოში გლეხის ღირსების სამართლებრივი დაცვა არ ხდებოდა. *გ. ნადარეიშვილის* აზრით, „ფეოდალურ საქართველოში ადამიანის პატივსა და ღირსებას იცავდნენ წოდებრივ საფუძველზე, მაგრამ რიგ შემთხვევებში წოდებრივი მდგომარეობის მხედველობაში მიუღებლადაც ყურადღებას აქცევდნენ ადამიანის ეროვნულ-სარწმუნეობრივ და საოჯახო პატივსა და ღირსებას.“[23] ამის მაგალითად მოჰყავს *ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის* ცნობა, თუ როგორ დაუსჯია *ერეკლე II მეფის* დაცვის სამსახურში მყოფი ქურდიშვილი თათარი ჯარისკაცის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის.[24]

გლეხთა შორის გინებას და ავი სიტყვის „დაყვედრებას“ ეხება 1792 წლის განჩინება.[25] მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ განჩინებაში სასჯელი არ არის დაწესებული აღნიშნული გარემოება მაინც არ ადასტურებს, რომ გლეხის მიერ გლეხის გინება დასჯად ქმედებას არ წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არა ზოგადად ქმედების დაუსჯელობას, არამედ „გაბრას“[26], რადგან ურთიერთმიმართ განხორციელებული ქმედებები თანაზომიერი იყო და პირებიც ერთი სოციალური სტატუსის მქონენი იყნენ.

1809 წლის სასისხლო განჩინებაშიც პირთა მხრიდან ურთიერთ შეურაცხყოფისას სასამართლო სასჯელთა „გაბრას“ მიმართავს.[27] მიღებული გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ ქმედებით განხორციელებული შეურაცხყოფა სიტყვიერთან შედარებით უფრო რთული ფორმა იყო და სასჯელთა „გაბრის“ საფუძველზე მოხდა საზღაურის ჩამოჭრა. „ავად გინება“ სასამართლომ თხუთმეტი თუმნით შეეფასა.

გლეხის პატივის დაცვა, რომ ხდებოდა ასევე ადასტურებს „ბეჟანასა და ონისიმას სასისხლო განჩინება“ (1822 წ). შეურაცხმყოფელი თუ ვერ დაიფიცებდა გინების საუპატიო უნდა გადაეხადა.[28]

ძველი ქართული სამართლის ძეგლებში ვერ ვნახულობთ ნორმებს, რომლებიც პასუხისმგებლობას აწესებდა უშუალოდ რომელიმე სოციალური სტატუსის მქონე საერო პირის გინებისათვის.

---

21 დავით ბატონიშვილის სამართლის 149-ე მუხლით შეურაცხყოფისათვის პირს სისხლის ფასის მეექვსედი უნდა გადაეხადა. *ფურცელაძე დ. (ტექსტის გამომცემელი),* სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ., 1964, 84.

22 *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო *ი. აბულაძემ,* თბ., 1991, 204.

23 *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნ. „ალმანახი“, 2000, №14, 62-63.

24 იქვე, 62.

25 განჩინება ქიტესა ლომიტაშვილის და მიშელაშვილის ცოლების შეურაცხყოფის საქმეზე (1792წ). *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებები (XVIIIს), თბ., 1974, 586.

26 გაბრა - ანგარიშში ჩავუგდებ. *ჩუბინაშვილი დ.*, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მ-2 გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. *შანიძემ*, თბ., 1984, 138.

27 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებები (XVIII-XIXსს), თბ., 1977, 399.

28 იქვე, 580-581, 586.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 226-ე მუხლში ასევე გინების ზოგადი შემადგენლობაა მოცემული. ნორმაში გინების უსამართლობაზეა მითითება.[29] სიტყვიერი შეურაცხყოფის სხვა შემადგენლობებისაგან განსხვავებით *ვახტანგ ბატონიშვილი* ცემას და დატუქსვას აწესებს. ცემას მსუბუქი დანაშულის ჩადენისას მიმართავდნენ. „ტუქსვა“ *სულხან-საბა ორბელიანს* განმარტებული აქვს, როგორც საწვრთელი რისხვა.[30] ამავე მუხლში გინების კვალიფიციურ შემადგენლობაა გამოყოფილი, როცა გინებას შედეგად „სისხლი და კაცთან მტერობა“ მოჰყვება.[31] შეურაცხყოფილის სტატუსი სასჯელის დანიშვნისას იყო გათვალისწინებული, რაც სისხლის ფასის მოცულობაში გამოიხატებოდა.

3. მეფის სიტყვიერი შეურაცხყოფა

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნი მეფის სისხლის ფასს არ განსაზღვრავს და ქონებრივი საზღაური, რომ არ გამოიყენებოდა მეფის შეურაცხყოფისათვის ამას *თამარ მეფის* პირველი ისტორიკოსიც ადასტურებს. *ივ. ჯავახიშვილს* მოჰყავს *თამარ მეფის* პირველი ისტორიკოსის ცნობა რუმის სულთანის *რუკნ-ედ-დინის* მოციქულის მიერ *თამარ მეფის* შეურაცხყოფის შესახებ. დასახელებული ცნობის საფუძველზე ისტორიკოსი დასკვნას აკეთებს, რომ მეფის პირადად და საჯაროდ სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ჯერ ენა უნდა მოეკვეთათ, შემდეგ კი — თავი.[32]

მეფის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის სასჯელს აწესებდა ბერძნული სამართლის ქართული ვერსია და სომხური სამართალი. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიაში ორი მუხლი ეხება მეფის და მთავრის გინებას. 58-ე მუხლში კანონმდებელი მიუთითებს, რომ მეფის, მთავრის მიმართ პატივისცემის გამოჩენა საღვთო სჯულით არის დადგენილი. რაც შეეხება შემადგენლობის ნიშნებს: კანონმდებელი საუბრობს უსამართლო გინებაზე.[33] მეფის ან მთავრის გინებისათვის მღვდელი უნდა „დაეყენოს“, რაც ღვთისმსახურებისაგან ჩამოშორებას ნიშნავდა.[34] ხოლო ერისკაცს შეჩვენება ელოდებოდა. ამ სახის სასჯელთა გამოყენებას გასაგებს ხდის კანონმდებელის სიტყვები *მოსეს* სჯულიდან, ასევე *პეტრე მოციქულის* და „დიდი პავლეს“ მოყვანილი ციტატები მეფისადმი და მთავრისადმი განსაკუთრებული პატივისცემის გამოჩენის ვალდებულების შესახებ. მომდევნო მუხლში (მუხ. 59) საუბარია, რომ მეფის გინებისათვის დასჯამდე გამოკვლეულ უნდა იქნეს პირმა თუ „უჭკუობით აგინა, ანუ ჴელმწიფე არ ეგონა და ესრეთ აგინა, ანუ თუ უსამართლო დაემართა მეფისაგან და უჭკუობით აგინა“.[35] სასჯელის დანიშვნისას კანონმდებელი სამ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას: შერაცხადობაზე, პირში შეცდომაზე და შურაცხყოფილის მხრიდან უსამართლო მოპყრობაზე.

---

29 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 540.

30 *სულხნ-საბა ორბელიანი.* ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო *ი. აბულაძემ*, თბ., 1993, 147.

31 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 539.

32 *ჯავახიშვილი ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984. 217.

33 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 147.

34 დაყენება - შეპყრობა, განყენება, დამორჩილება, შეჩერება, შეფერხება, დაყოვნება, დაჭერა, დადგომა, პყრობა, მიმყოვრება. *აბულაძე ი.*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, 129. დაყენება - სასჯელის ზომაა და ნიშნავს გარკვეული უფლებების მოშლას, მაგალითად, მღდელთ მოძღურებისაგან დაყენება, მღდლობისაგან დაყენება და სხვა. *გიუნაშვილი ე.* (ტექსტის გამომცემელი), მცირე სჯულის კანონი, თბ., 1972, 139.

35 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 147.

სომხური სამართლის მე-200 მუხლი ხელმწიფესთან ერთად დიდებულის გინებისათვისაც აწესებეს პასუხისმგებლობას. ბერძნული სამართლის მსგავსად სომხური სამართალიც მეფის განსაკუთრებულ პატივს უსვამს ხაზს.[36] ამ შემთხვევაშიც გინება უსამართლო უნდა ყოფილიყო. „პირისპირ" შეურაცხყოფა პასუხისმგებლობის აუცილებელ ნიშანს არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან კანონმდებელი საუბრობს ხელმწიფის და დიდებულის „ავად ჴსენებაზე".[37]

4. სასულიერო პირების სიტყვიერი შეურაცხყოფის დასჯადობა

ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოიყოს სასულიერო პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა. რამდენადაც იზრდებოდა ეკლესიის გავლენა სახელმწიფოში, იზრდებოდა ეკლესიის მსახურთა პატივისა და ღირსების სამართლებრივი დაცვაც. სასულიერო პირის მიმართ ხელისუფალის უპატივცემლობის გამოჩენის მაგალითია ვარსქენის ქმედებები ხუცესის მიმართ.[38] *გრიგოლ ხანძთელის* ცხოვრებაში განსხვავებული მდგომარეობა წარმოგვიდგება. ძეგლის ავტორი ხაზს უსვავს სასულიერო პირთა უპირატესობას და საერო პირთა მოწიწებას მათ მიმართ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული *ბაგრატ კურაპალატის* სამართალში სასულიერო პირების გინებას სამი მუხლი აქვს დათმობილი. ორი მუხლი (ბექა-აღბუღას სამართლის 106-ე და 107-ე მუხლები)[39] ეპისკოპოსის გინებისათვის აწესებს პასუხისმგებლობას. მათ შორის სხვაობა შეურაცხმყოფელის სოციალურ სტატუსში და შესაბამისად ქონებრივი საზღაურის მოცულობაშია. პირველი დიდებულის მიერ ეპისკოპოსის გინებას ეხება, მეორე – აზნაურის მიერ ასევე ეპისკოპოსის გინებას. მესამე მუხლში დიდებულის და აზნაურის მხრიდან მღვდლის გინებაზეა საუბარი. ასევე დასახელებულია „უქუემოესმანის" მიერ მღვდელის შეურაცხყოფა (ბექა-აღბუღას სამართლის 108-ე მუხლი).[40] „უქუემოესმანი" აზნაურზე დაბლა მდგომ პირს უნდა გულისხმებოდეს, რომელიც ასევე მღვდლის სტატუსზე დაბლა იდგა. *ვახტანგ ბატონიშვილის* სამართლის წიგნის 31-ე მუხლში ცალმოგვი, მესამე აზნაურის სისხლი და მღვდლის სისხლის ფასი ორმოცდარვა თუმანია.[41] თუ ამ გარემოებას მივიღებთ მხედველობაში და პირობითად *ბექა-აღბუღას* სამართლით განსაზღვრულ სისხლის ფასს დავეყრდნობით, გამოდის რომ მღვდელი და „დამცრობილი აზნაური" ერთ საფეხურზე იდგნენ და მღვდლის სისხლის ფასი შესაძლოა ყოფილიყო თორმეტი ათასი თეთრი. *ბაგრატ კურაპალატის* სამართალი მღვდლის გინებისათვის მესამედი სისხლის ფასის გადახდას აწესებს და გამოდის, რომ მღვდლის გინებისათვის შესაძლოა პირს ოთხი ათასი თეთრი გადაეხადა. რაც სავსებით შესაძლებელი ჩანს ეპისკოპოსის გინებისათვის დაწესებული საზღაურის მიხედვითაც. დიდებულის მიერ ეპისკოპოსის გინება ორმოცი ათასი თეთრით, ხოლო აზნაურის მიერ ეპისკოპოსის გინება ოცი ათასი თეთრით ისჯებოდა. *ბექა-აღბუღას* სამართლით ყველაზე დიდი სისხლის ფასი დიდებულისათვის არის დაწესებული, რაც ორმოცი ათასი თეთრი იყო. ეპისკოპოსი და დიდებული ერთ საფეხურზე უნდა იდგეს. შეიძლება ვივარუდოთ, რომ დიდებულის მიერ ეპისკოპოსის გინება სრული სისხლის ფასის გადახდით ისჯებოდა, ხოლო აზნაურის მიერ ეპისკოპოსის სიტყვიერი შეურაცხყოფა – ნახევარი სისხლის ფასით. სისხლის ფასის გადახდა სასულიერო პირთა სასარგებლოდ ხდებოდა, თუმცა საზღაურის გადახდა „დიდად შეხუეწნით" უნდა მომხდარიყო.[42] „დიდად

---

36 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 147.

37 იქვე, 297.

38 *ბაქრაძე ა., თვარაძე რ.* (შემდგენელნი), ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987, 232-233.

39 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 465.

40 იქვე.

41 იქვე, 489.

42 იქვე, 465.

შეხვეწა“ ბოდიშის მოხდის განსაკუთრებით მძიმე ფორმა უნდა ყოფილიყო.[43] სასულიერო პირების სიტყვიერი შეურაცხყოფისას გინების უსამართლობაზე კანონმდებელი არ უთითებს, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გარემობა შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს არ წარმოადგენდა.

კათალიკოზთა სამართალის მე-17 მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კათალიკოსის და ეპისკოპოსის გინებისათვის და უპატიურობისათვის. ნორმაში ცალკე არის მოხსენიებული გინება და „უპატიურობა“.[44] პირველი სიტყვიერ შეურაცხყოფას უნდა მოიაზრებდეს. მეორე ტერმინს – „უპატიურობას“ რაც შეეხება ლექსიკონში განმარტებულია, როგორც პატივის ახდა,[45] რომელიც ზოგადად შესაძლებელია როგორც სიტყვიერი შეურაცხყოფით, ისე ქმედებითაც. რადგან კანონმდებელი ნორმაში გინებას ცალკე გამოყოფს, ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „უპატიურობის“ კადრებაში შესაძლოა ქმედებით შეურაცხყოფა იგულისხმებოდეს. ამ შემთხვევაშიც საუბარი არ არის შეურაცხყოფის უსამართლობაზე.

სასულიერო პირთა გინებას ეხება ბიჭვინთის იადიგარი (1525-1550). მე-7 მუხლში საუბარია დიდებულის, ან თავადის, ან აზნაურის მხრიდან კათალიკოზის გინებაზე და „საცემრად წაზიდვაზე“.[46] კათალიკოზის სამართლისაგან განსხვავებით კათალიკოზის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ქონებრივი საზღაურია დაწესებული: „ორმოცდაათი გლეხი საყდარსა დაეურვოს და კათალიკოზსა ორი სისხლი დაეურვოს დიდითა შეხუეწითა.“[47] ამდენად, პირს საზღაურის გადახდა უწევდა, როგორც ეკლესიის, ისე კათალიკოზის სასარგებლოდ. *ვახტანგ ბატონიშვილი* კათალიკოზის სისხლის ფასს არ განსაზღვრავს. როგორც აღნიშნავს „მეფის და კათალიკოზის საქმე, უკადრისი თუ რაც რამ ფერი, ორისავე სწორი არის, ამიტომ რომე ერთი ჴორცის ჴელმწიფე არის და მეორე — სულისა, კურთხევა და პატივიც ღ~თისაგან და კაცთაგან სწორე აქვთ.“[48] საათაბაგოში უმაღლესი სასულიერო პირის, მაწყუერელის სისხლის ფასს არც *ბექა-აღბუღას* სამართლის წიგნი ადგენს და არც ბიჭვინთის იადიგარშია მოცმეული კათალიკოზის სისხლის ფასი. რთულია იმის თქმა რამდენი შეიძლებოდა ყოფილიყო საზღაური კათალიკოზის გინებისათვის.

ბიჭვინთის იადიგარის მე-15 მუხლი ქორეპისკოპოსის შეურაცხყოფისათვის (ცემა, გინება, შეპყრობა) აწესებს სასჯელს.[49] ჩამოთვლილი ქმედებებისათვის პირს თორმეტი გლეხი საყდრისათვის უნდა „დაეურვებინა“, სამასი ათასი თეთრი კი ქორეპისკოპოსისათვის უნდა გადაეხადა. თუ შეურაცხმყოფელი გლეხი იქნებოდა, საკუთარი ქონებით საყდარს უნდა გადასცემოდა.[50]

ბიჭვინთის იადიგარის მე-8 მუხლი „ძმათაგანის“ პირისპირ შეურაცხყოფას ეხება.[51] ამ შემთხვევაშიც პირს ქონებრივი საზღაურის გადახდა უწევდა, როგორც ეკლესიის, ისე სასულიერო პირის მიმართ.[52] ბიჭვინთის იადიგარით „ძმათაგანის“ შეურაცხყოფისათვის დაწესებული საზღაური ბევრად აღემატება *ბაგრატ კურაპალატის* სამართლით ეპისკოპოსის გინებისათვის დაწესებულ სანქციას. თუ

---

43 *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნ. „ალმანახი“, 2000, №14, 55.

44 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 396.

45 *ჩუბინაშვილი დ.*, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მ-2 გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო *ა. შანიძემ*, თბ., 1984, 1264.

46 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს), თბ., 1965, 180.

47 იქვე, 180.

48 იქვე, 488.

49 იქვე, 181.

50 იქვე, 181.

51 იქვე, 180.

52 იქვე, 180.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნით განსაზღვრულ სისხლის ფასსაც შევადარებთ, მაგალითად, „ძმათაგანის“ სისხლის ფასი მღვდლის სისხლის ფასს ბევრად ჭარბობს, ასევე მეტია წინამძღვრის სისხლის ფასთან შედარებითაც. მეცნიერებს ეჭვი შეაქვთ ბიჭვინთის იადიგარის ნამდვილობაში. *ივ. სურგულაძის* აზრით, სიყალბის მქნელის მიზანი იყო ზოგიერთი შეწირულობის გაყალბება ან კიდევ სისხლის ფასის ხელოვნურად გაზრდა.[53]

ჩამოთვლილი ნორმები საერო პირთა მხრიდან სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შეურაცხყოფისათვის აწესებენ პასუხისმგებლობას. განსხვავებული სასჯელი გამოიყენებოდა, როცა შეურაცხმყოფელიც სასულიერო პირი იყო. ვაჰანის ქვაბის განგებით (1204-1234) ასეთ პირს მონასტრიდან აძევებდნენ.[54]

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის კრებულში სასულიერო პირების შერაცხყოფას ეხება სომხური სამართალიც. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ 155-ე მუხლში ნახსენებია მღვდლის შეგინება, კითხვას იწვევს, რამდენად ითვალისწინებს დასახელებული ნორმა სასჯელს უშუალოდ სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის.[55] ნორმაში გინებასთან ერთად ქმედებით შეურაცხყოფაზეც არის საუბარი, რაც გამოიხატება მღვდლის „დაკვრაში“. შეგინებასა და „დაკვრას“ შორის „და“ კავშირის გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ ნორმა კუმულაციურია, ე. ი. ადგილი უნდა ჰქონოდა, როგორც სიტყვიერ, ისე ქმედებით შეურაცხყოფას. სავარაუდოდ უშუალოდ მღვდლის შეგინებისათვის ეს მუხლი სანქციას არ აწესებს. ამ მოსაზრებას ამყარებს გამოყენებული სასჯელიც, რაც გამოხატულია სიმბოლურ ტალიონში, კერძოდ კი ხელის მოჭრაში. ხელის მოჭრა ქმედებით შეურაცხყოფისათვის, რომ იყო დაწესებული კანონმდებლის სიტყვებიდანაც ჩანს, როცა აღნიშნავს „ის ‍ველი უნდა მოეჭრას, რომლითაც დაუკრავს.“ პირს საშუალება ეძლეოდა ხელი გამოესყიდა. გათვალისწინებული იყო მღვდლისგან საკანონოს დადებაც.[56] შესაძლოა სომხური სამართლის 155-ე მუხლში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა ერთდროულად ხორციელდება როგორც ვერბალური, ისე რეალური შეურაცხყოფა და რადგან „დაკვრა“ შეურაცხყოფის უფრო რთული ფორმაა კანონმდებელი ცალ-ცალკე არ აწესებს სასჯელს და ქმედებით განხორციელბული შეურაცხყოფის სასჯელს იყენებს. უშუალოდ მღვდლის გინებაც რომ ისჯებოდა დასტურდება სომხური სამართლის 187-ე მუხლით.[57] ნორმაში გინება გამოყოფილია სხვა „უპატიური“ ქმედებებისაგან, რაც მიანიშნებს, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფის დამოუკიდებელი სამართლებრივი შეფასება ხდება. კანონმდებელი ჩამოთვლილ ქმედებებს ღვთის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად მიიჩნევს.[58] დასახელებულ მუხლში კონკრეტული სასჯელი მითითებული არ არის, თუმცა კანონმდებელი აღნიშნავს, რომ სასჯელს ამკაცრებს მღვდლის შეურაცხყოფისათვის.[59]

სომხური სამართალი განსაკუთრებით მკაცრია ღმერთის მაგინებლთა მიმართ (მუხ. 238. ნორმა მღვდლის გინებასაც ითვალისწინებს). ღვთის მაგინებელი სიკვდილს იმსახურებდა.[60] მღვდლის მაგინებლის მიმართ სომხური სამართალი ქართულ სამართალთან შედარებით უფრო მკაცრ სასჯელებს აწესებს.

---

53 *სურგულაძე ივ.*, ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ., 2000, 224.

54 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს), თბ., 1970, 142.

55 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 278.

56 საკანონო ცოდვის საზღაურს ნიშნავდა. *სულხან-საბა ორბელიანი,* ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო *ი. აბულაძემ,* თბ., 1993, 32.

57 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 292.

58 იქვე.

59 იქვე.

60 იქვე, 308.

5. პასუხისმგებლობა ქალის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის

სასულიერო პირების გარდა ცალკე შეიძლება გამოვყოთ ქალის სიტყვიერი შეურაცხყოფა. *ბაგრატ კურაპალატის* სამართალში „დიაცის“ გინებისას უსამართლობაზე არ არის მითითება (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 130-ე მუხლი),[61] რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნულ გარემოებას ქალის გინებისას ყურადღება არ ექცეოდა. ნორმაში არ არის დაკონკრეტულებული რისი თქმა ითვლებოდა გინებად. აღნიშნულ მუხლთან მიმართებაში, *ნ. ურბნელი* აღნიშნავს, რომ სალიკური სამართლით, დიაცის გინებად ჩაითვლებოდა თუ მას ბოზს დაუძახებდნენ. მისი აზრით, შესაძლოა, რომ საათაბაგოშიც დიაცის გინება ბოზად ხსენებას ნიშნავდა.[62]

ნორმაში ძირითადად აქცენტი გადატანილია სასჯელის დანიშვნის პრინციპზე. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებითაც კითხვები წარმოიშვება. შეურაცხმყოფელმა „დიაცის“ გინებისათვის „თორმეტი გლეხი დაუურვოს მარტივითა საჴსრითა.“ ხოლო ქვემოთ კანონმდებელი უთითებს, რომ „მამაკაცისა და დიაცისა საბატიობასა უნდა გამონახვაჲ.“[63] „საპატიოს“ *დ. ჩუბინაშვილი* განმარტავს, როგორც პატიოსანს, პატივმცემულს, პირიანს.[64] ერთის მხრივ აბსოლიტურად განსაზღვრული სანქცია და მეორე მხრივ მითითება, რომ სასჯელის დანიშვნისას როგორც შეურაცხმყოფელის, ისე შეურაცხყოფილის სოციალური სტატუსი უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული. ქალის გინებისათვის დანიშნული სასჯელი წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლის მიერ მითითებულ სასჯელის განსაზღვრის პრინციპთან. როდის უნდა მომხდარიყო ქალის გინებისას თორმეტი გლეხით „დაურვება მარტივითა საჴსრითა“? „საჴსარი“ განმარტებულია „ფასი გამოსასხსნელად რისამე.“[65] სისხლის ფასთან მიმართებაში თუ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს დავეყრდნობით, მაშინ ქალის გინებისათვის პირს ოთხი ათას რვაასი თეთრი უნდა ეზღო (გლეხის სისხლის ფასი ოთხასი თეთრი იყო). საზღაურის გადახდა შეურაცხყოფილისთვის ხდებოდა. დაწესებული საზღაურის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ნორმაში წარჩინებული ქალის შეურაცხყოფისათვის არის სასჯელი დაწესებული. ოთხი ათას რვაასი თეთრი დამცრობილი აზანურის სისხლის ფასის მესამედზე ცოტათი მეტია. შესაძლებელია, კანონმდებელი ამ შემთხვევაშიც „საპატიო“ ქალის მიმართ საზღაურის მინიმალურ ოდენობას აწესებს, რომელიც შესაძლებელია გაზრდილიყო კაცის და ასევე ქალის „პატივის“ გათვალისწინებით.

ქალის შეურაცხყოფა უფრო მკაცრად რომ ისჯებოდა *ადასტურებს სიმონ I-ის* (1592წ) განჩინება: „თუ დიაცი აგინოს, ათიათასი დაეურვოს საუპატიოდ.“[66] დადგენილი საზღაური ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე კაცის გინებისთვის დაწესებული საუპატიო.

ზოგიერთ განჩინებაში მითითებულია, რომ შეურაცხმყოფელს საუპატიო უნდა გადაეხადა, მაგრამ განსაზღვრული არ არის მისი ოდენობა. 1822 წლის *ბეჟანასა* და *ონისიმას* სასისხლო განჩინებაში *ბეჟანა* უჩიოდა ონისიმას დედამისის გინებისათვის. სასამართლომ დაადგინა, რომ *ონისიმას* უნდა წამოეყენებინა ორი კაცი და დაეფიცა. თუ არ დაიფიცებდა გინების საუპატიო უნდა მიეცა *ონისიმას*.[67] ამ შემთხვევაში საუპატიოს გამოთვლა სისხლის ფასის მიხედვით ხდებოდა.

---

[61] *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 467.

[62] *ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ.*, რჩეული თხზულებები, დასაბეჭდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შეინიშვნები დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1982, 356.

[63] *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 467.

[64] *ჩუბინაშვილი დ.*, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მ-2 გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო *ა. შანიძემ*, თბ., 1984, 1105.

[65] იქვე, 1161.

[66] *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს), თბ., 1965, 206.

[67] იქვე, 580-581.

რაც შეეხება ცოლის გინებას. შუშანიკის წამებაში აღწერილია *ვარსქენ პიტიახშის* მოპყობა ცოლის მიმართ.[68] *ივ. სურგულაძე ვარსქენის* ქმედებებთან მიმართებაში აღნიშნავს, რომ „მაშინ ცოლი ქმრის მორჩილი და მიმდევარი უნდა ყოფილიყო ყველაფერში, თვით რჯულის საკითხშიც ქმარს ჰქონია ცოლის ცემისა და საერთოდ წამების უფლებაც.“[69] თუ V საუკუნეში ქმარს ცოლის ცემის და წამების უფლება ჰქონდა, მით უმეტეს მისი სიტყვიერი შეურაცხყოფა დასჯადი არ იქნებოდა.

ქმრის მხრიდან ცოლის, კერძოდ კი ქვრივყოფილის ცოლის გინებას და ავადმოპყობას ეხება სომხური სამართლის 165-ე მუხლი. თუმცა დასჯადობის საკითხთან მიმართებაში დასკვნის გაკეთების საშუალებას ნორმა არ იძლევა. ნორმა ამკრძალავია და როგორც ასეთი სანქციას არ აწესებს: „ანუ არცრას ურიგოს ცოლსა თვისსა ჰკადრებს.“[70] დასახელებულ მუხლში შემდგომ ჩამოთვლილია შემთხვევები, როცა ქმრის მხრიდან „ავადმოპრობის“ შედეგად, ცოლს ხელი მოტყდებოდა, ან ქმარმა „კბილები ჩააყრევინოს“ რისთვისაც ჯარიმა იყო დაწესებული. ცოლის გინებისათვის სანქციის მიუთითებლობა ვარაუდს აჩენს, რომ ცოლის მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა დასჯად ქმედებას არ წარმოადგენდა.

6. ყმის მიერ ბატონის სიტყვიერი შეურაცხყოფის დასჯადობა

გინების კვალიფიციურ შემადგენლობად შეიძლება ჩაითვალოს ყმის მიერ ბატონის შეურაცხყოფა. *ვახტანგ ბატონიშვილის* სამართლის წიგნის 259-ე მუხლით თუ ყმამ ბატონს: „ან გაჯავრებით პირის-პირ შეაგინოს, ენა მოეჭრას ან ენის ფასი წაერთვას.“[71] შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია „პირის-პირ“ გინება. ქართული სამართლის ძეგლებში არსებულ იმ ნორმებთან შედარებით, რომლებიც გინებისათვის აწესებენ პასუხისმგებლობას, აღნიშნული ნორმაში ყმის მიმართ გამოყენებული სანქცია უფრო მკაცრია, რაც სიმბოლურ ტალიონში გამოიხატება, კერძოდ კი ენის მოჭრაში, თუმცა ამ შემთხვევაშიც ეს სანქცია ალტერანატიულია და ყმას შეეძლო ენის ფასი გადაეხადა. სიტყვიერი შეურაცხყოფისას სიმბოლურ ტალიონს რომ მიმართავდნენ საქართველოში ისტორიული წყაროებითაც დასტურდება. *ერეკლე II* ჯარისკაცის შეურაცხყოფისათვის პირი ენის დაჩხვლეტით დაუსჯია.[72] სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ყმის მიერ ბატონის შეურაცხყოფის უფრო მსუბუქად დასჯის მაგალითი. 1780 წლის განჩინებით *იოანე ავალიშვილი* უჩიოდა თავის ყმას მღვდელ ლაზარეს შეურაცხყოფის გამო.[73] სასამართლოს ბატონის სახალხოდ „დიდის საყივნებელი და შეურაცხის“ სიტყვებით გალანძღისათვის *მღვდელ ლაზარეს* საუპატიოდ უნდა გადაეხადა თვისი ბატონისათვის „დიდის ვედრებით და დავრდომით სამი თუმანი“ და „შეცოდების შენდობა და მიტევება ითხოოს და აღთქმაც დადვას, რომ აღარა შესცოდოს რა.“[74] როგორც განჩინებიდან ჩანს ბატონის საუპატიო სამ თუმნად არის შეფასებული.

მართალია, კანონმდებელი უფრო მომთხოვნია ბატონის მაგინებელი ყმის მიმართ და ზოგადად უსამართლო გინებაზე აქცენტს არ აკეთებს, მაგრამ ყმის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლებს ადგენს (მუხ. 259): „ესეც იქნება, რომ ყმამ ბატონი ან ცოლზე დაიჭიროს ან უსამართლოდ ორი ნაჭერი ქონდეს, თუ ყმას არა შეეკადრებინოს რა, მოსამრთლემ ან კარგად და[ა]ურვები-

---

68 *ბაქრაძე ა., თვარაძე რ.* (შემდგენელნი), ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987, 230.

69 *სურგულაძე ივ.*, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, 47.

70 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 283-284.

71 იქვე, 547.

72 *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნ. „ალმანახი“, 2000, №14, 62.

73 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებები (XVIIIს), თბ., 1974, 107.

74 იქვე.

ნოს და ან გაათავისუფლოს. თუ ყმამ ამისთანას საქმისათვის ან აგინოს, ან ჯოხი სცეს, ან ცოტათაც დაჭრას ბატონმან შეუნდოს, სიკუდილს მაშინაც ნუ შეკადრებს.“[75]

უნდა ითქვას, რომ ძველი ქართული სამართალი ყმის მიმართ უფრო ნაკლებად მომთხოვნია, ვიდრე ბერძნული და სომხური სამართალი გააზატებულისადმი. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 169-ე მუხლით: „უკეთუ აზატნაქმარმა ყმამ თავის ბატონიშვილს აგინოს, არ აპატივებდეს, ვითარცა უჴმარ მონა ეგრეთ იმსახუროს.“[76] ბერძნული სამართლის აღნიშნული ნორმა მსგავსია რომის სამართალში არსებული ნორმის, როცა გააზატებულ მონას თავისი ყოფილი ბატონის და მისის ოჯახის მიმართ გამოჩენილი უპატივცემლობისათვის დასჯა ემუქრებოდა.[77]

ბერძნული სამართლის მსგავსი ნორმაა სომხურ სამართალშიც (მუხ. 19): „თუ ვინც უყოს აზატი თვისსა, მასავე შეუძლია ისრევ დაჭერა და აზატობის შეშლა თუ არა? მიგება სიტყუისა თუ წამოაყენოს ამისთანა მოწამე, რომ შეეგინებინოს და ურიგო ეთქუას, ამისთანას მოწმით მოსამართლეთა წინაშე შეუძლია, რომ ისევ დაპატრონდეს.“[78] როგორც მოყვანილი ნორმების ტექსტიდან ჩანს, ბერძნული და სომხური სამართალი გინების უსამართლობაზე არ ამახვილებს ყურადღებას და არც გააზატებულის მიერ ყოფილი პატრონის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების რაიმე საფუძველს განსაზღვრავს.

7. სიტყვიერი შეურაცხყოფის ცალკეული შემადგენლობები

სიტყვიერ შეურაცხყოფად შესაძლებელია ჩაითვალოს „მუქარის თხოვნა“. მუქარის თხოვნა ხმალში გამოწვევას ნიშნავდა.[79] „მუქარის თხოვნას“ ეხება *ბაგრატ კურაპალატის* სამართლის ორი მუხლი: პირველში საუბარია დიდებულის მიერ დიდებულისთვის მუქარის თხოვნაზე (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 127-ე მუხლი).[80] ნორმაში ტერმინი ამხანაგი უნდა მიანიშნებდეს, რომ ორივე მხარე ერთ სოციალურ საფეხურზე მდგომი პირები უნდა ყოფილიყვნენ და კანონმდებლის მხრიდან ზუსტად განსაზღვრული საზღაურის დაწესებაც აღნიშნულზე უნდა მეტყველებდეს. საზღაურის გადახდა შეურაცხყოფილის სასარგებლოდ ხდებოდა. შემადგენლობის ნიშანს წარმოადგენს მუქარის თხოვნის უსამართლობა.

მომდევნო მუხლი პირველისაგან იმით განსხავდება, რომ ამ შემთხვევაში საუბარია „უქუემოსანი“ კაცის „მუქარას სთხოვს ამხანაგს“ (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 128-ე მუხლი)[81] რადგან „უქუემოსანის“ მიერ განხორციელდა ქმედება კანონმდებელი საზღაურის ნახევარს აწესებს.

მუქარის თხოვნისათვის აწესებს სასჯელს *სიმონ I-ის* სისხლის განჩინება მაღალაძეებისადმი.[82] განჩინებაშიც მუქარის თხოვნის უსამართლობაზეა მითითება. საზღაურის მოცულობა *სიმონ I-ის* განჩინებაში უფრო გაზრდილია. სამივე შემთხვევაში საზღაურის გადახდა შეურაცხყოფილის სასარგებლოდ ხდებოდა.

---

75 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 547.

76 იქვე, 171.

77 *სურგულაძე ნ. (ტექსტის გამომცემელი)*, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი პირველი, თბ., 2000, 66.

78 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 233.

79 *ჩუბინაშვილი დ.*, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მ-2 გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო *ა. შანიძემ*, თბ., 1984, 908.

80 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 467.

81 იქვე.

82 იქვე, 206.

მუქარის თხოვნას ეხება *ვახტანგ ბატონიშვილის* სამართლის წიგნის 228-ე მუხლი.[83] როგორც ნორმიდან ჩანს, მუქარის თხოვნის მიმართ კანონმდებლის დამოკიდებულება შეცვლილია და საზღაურის გადახდას აღარ აწესებს და მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლებოდა.

სიტყვიერ შეურაცხყოფად ითვლებოდა წაძრახვაც. წაძრახვა დაყვედრებას, ხოლო დაყვედრება კი საყვედურის თქმას ნიშნავდა.[84] დასახელებული ქმედება ჩვეულებითი სამართლითაც შეურაცხყოფად განიხილებოდა „საყვედურის წაძახებისას“ მოდავე მხარეები ჩხუბის დროს ერთმანეთს ეუბნებოდნენ რაც წარსულში სასაყვედურო, უღირსი, ამორალური და დანაშაულებრივი ქმედებები ჰქონდა ჩადენილი მოწინააღმდეგე მოდავეს, ან მის ახლობლებს.[85]

ქართული სამართლის ძეგლებში წაძრახვის რამდენიმე მუხლია. *ბექა-აღბუღას* სამართლის წიგნში (მუხ. 50) საუბარია ქალის მხრიდან სხვისი ცოლისთვის ბოზობის წაძახებაზე. თუ ქმარი ამ წაძახების საფუძველზე გაეყრებოდა ცოლს ბოზობის საფასური სისხლის ფასი უნდა გადაეხადათ. [86] მსგავსი შინაარსის ნორმაა *ვახტანგ ბატონიშვილის* სამართლის წიგნშიც (მუხ. 87).[87] მსგავსია როგორც ნორმის დისპოზიცია ისე დაწესებული სასჯელიც. თუ *ვახტანგ ბატონიშვილის* სამართლის წიგნის 87-ე მუხლი კონკრეტულად ბოზობის წაძახებას ეხება, 227-ე მუხლი წაძრახვის ზოგად შემადგენლობად შეიძლება ჩაითვალოს. მუხლის პირველი ნაწილი წაძრახვის კვალიფიციურ შემადგენლობას წარმოადგენს.[88] წამძრახვი პასუხს აგებს დამდგარ შედეგზე, რის საფუძველზე მას საზღაურის ნახევარი უნდა გადაეხადა. მეორე ნაწილით, წაძრახვის ძირითადი შემადგენლობით, „გულის მოწყვეტა“ კანონმდებელს თავის გატეხვასთან აქვს გათანაბრებული და სასჯელს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „რასაც გვარისა იყოს, იმ წესით თავის გატეხასთან ჩაიგდება და იმათონი გარდუჴადოს.“[89] ძველ ქართულ სამართალში წაძრახვის შესახებ არსებული სამივე მუხლი ქონებრივ საზღაურს იყენებს და მისი გადახდა შეურხყოფილი პირის სასარგებლოდ ხდებოდა. ძრახვას ეხება სომხური სამართალიც (მუხ. 114, 115, 116), მაგრამ ქართული სამართლისაგან განსხვავებით ძრახვის სიყალბეზე და დაბეზღებაზე აკეთებს აქცენტს, რის საფუძველზეც დასახელებული ნორმები ცილისწამებად, ან დასმენად უფრო უნდა იქნეს განხილული ვიდრე სიტყვიერ შეურაცხყოფად.

სიტყვიერი შეურაცხყოფის კვალიფიციურ სახეს წარმოადგენდა მშობლის გინება. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 289-ე მუხლი ეხება მშობლის მიმართ გამოჩენილ უპატივცემლობას.[90] რომის სამართლით, მშობლის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება ასევე ამძიმებდა პასუხისმგებლობას.[91] დასახელებული ნორმით შვილისათვის მემკიდრეობის უფლების ჩამორთმევა დამატებით სანქციად შეიძლება ჩაითვალოს, რაც ძირითად სასჯელთან ერთად იქნებოდა დაწესებული. მშობლის გინებას და „ავად მოპყობას“ ეხება სომხური სამართალიც (მუხ. 110). ნორმაში არ იკვეთება, კერძოდ, რაში გამოიხატებოდა მოსამართლის მხრიდან „გარდაჴდევინება.“[92]

---

83 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 540.

84 *ჩუბინაშვილი დ.*, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მ-2 გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო *ა. შანიძემ*, თბ., 1984, 1492.

85 *დავითაშვილი გ.*, დანაშაულთა სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2017, 526.

86 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 443.

87 იქვე, 503.

88 იქვე, 540.

89 იქვე.

90 იქვე, 197.

91 *სურგულაძე ნ.* (ტექსტის გამომცემელი), იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ., 2002, 221.

92 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 256.

ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში ცალკე მუხლი აქვს დათმობილი მსაჯულის გინებას (მუხ. 56), „ოდეს იყოს სამართალშია, ანუ მასუკან". კანონმდებელი გამაწბილებელ სასჯელს აწესებს. მაგინებელი „ვირზედ შესვან და გააგდონ".[93]

ცალკე უნდა შევჩერდეთ *დავით ბატონიშვილის* სამართალში არსებულ შეურაცხყოფის ნორმებზე. სამართლის წიგნში მოცემულია შეურაცხყოფის ძირითადი შემადგენლობა (მუხ. 182)[94] და რამდენიმე კვალიფიციური ნორმაც.[95] როგორც ძირითად, ისე კვალიფიციურ შემადგენლობებში აღარ გვხვდება უპატიობის მიყენების კაზუისტური ჩამონათვალი, შესაბამისად არ გვხვდება ნორმები, რომლებიც მხოლოდ გინებისათვის აწესებს პასუხისმგებლობას. რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ *დავით ბატონიშვილის* სამართლით სიტყვიერი შეურაცხყოფა დასჯად ქმედებას არ წარმოადგენდა. განსხვავებულია უპატიობისათვის დაწესებული სასჯელებიც. ქონებრივ საზღაურის გადახდას შეურაცხყოფილის სასარგებლოდ იშვიათად ვხვდებით, თუმცა სასჯელების დაწესება აქაც პირის სოციალური სტატუსის მიხედვით ხდება. კეთილშობილთა მიმართ შეიძლებოდა გამოეყენებინათა პატიმრობა, ჯარიმა, საჭელოს მოკლება, ხოლო გლეხთა და ჯარისკაცთა მიმართ სხეულებრივი სასჯელი.

8. დასკვნა

ამდენად, განხილული ნორმების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ ძველი ქართული სამართლით პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა დასჯად ქმედებას წარმოადგენდა, რაც დასტურდება სამართლის ძეგლებში არსებული ნორმებით, სასამართლო განჩინებებით, თუ ისტორიული წყაროებით. რა თქმა უნდა პირის სტატუსს დასჯადობისათვის მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დაბალი სოციალურის სტატუსის მქონე პირების პატივის დაცვაც ხდებოდა.

ქართულ სამართლის ძეგლებში სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ არსებული ნორმები შესაძლოა პირობითად დავყოთ ორ ჯგუფად: გინების ზოგადი და კვალიფიციური შემადგენლობები. კვალიფიციურ შემადგენლობებს მიეკუთვნება სასულიერო პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა, ქალის შეურაცხყოფა, ყმის მიერ ბატონის შეურაცხყოფა, ლაშქრის წინაშე შეურაცხყოფა. კვალიფიციურ შემადგენლობას უნდა მივაკუთვნოთ ასევე გინება, როცა მას მძიმე შედეგები მოჰყვა. ზოგიერთ ნორმაში კანონმდებელი სიტყვიერი შეურაცხყოფის უსამართლობაზე მიუთითებს. როგორც ჩანს სასამართლოს ყურადღება უნდა მიექცია, მიუძღოდა შეურაცხყოფილ პირს ბრალი მაგინებლის მიმართ, თუ არა. „სამართლიანი" გინების შემთხვევაში კი პირს პასუხისმგებლობა არ უნდა დაკისრებოდა. „უსამართლო" გინებაზე მითითება არ არის, როცა საუბარია სასულიერო პირის და ქალის სიტყვიერ შეურაცხყოფაზე. რაც მიანიშნებს, რომ მათ მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას მოითხოვდა სამართალი და, რა თქმა უნდა, ეს აისახებოდა ასევე სასჯელის დანიშვნაზეც.

სასჯელებს რაც შეეხება, ძველი ქართულ სამართალში სიტყვიერი შეურაცხყოფისას უპირატესად ქონებრივი საზღაურია გამოყენებული, რაც დამოკიდებული იყო, როგორც შეურაცხმყოფელის, ისე შეურაცხყოფილი პირის სოციალურ სტატუსზე. საზღაურის გადახდა კი შეურაცხყოფილის სასარგებლოდ ხდებოდა. შესაძლებელი იყო ქონებრივი საზღაურის როგორც ალტერნატიული სასჯე-

---

93 *დოლიძე ის. (ტექსტის გამომცემელი)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 146.

94 *ფურცელაძე დ. (ტექსტის გამომცემელი),* სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ., 1964, 98-99.

95 „უპატიობის" ჩადენა მეფის სასახლეში და მეფის წინაშე (მუხ. 103); მსაჯულთა შეურაცხყოფა (მუხ. 116); გამოყოფილი საგიობელი წიგნის დაწერა (მუხ. 149); მშობლის შეურაცხყოფა (მუხ. 184); მეფის წარმომადგენელის შეურაცხყოფა (მუხ. 207). *ფურცელაძე დ. (ტექსტის გამომცემელი),* სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ., 1964, 62-63, 67, 84-85, 99-100, 117.

ლის გამოყენება სიმბოლურ ტალიონთან ერთად. თუ ქონებრივი საზღაურის დაკისრებისას კერძო პირთა ინტერესის დაკმაყოფილებას ენიჭებოდა უპირატესობა, სხვა სანქციათა მიმართ ვერ ვიტყვით, რომ ისინი კერძო სასჯელებს წარმოადგენენ და შესაბამისად იმისა თქმაც არ შეგვიძლია, რომ ზოგადად სიტყვიერი შეურაცხყოფა კერძო დელიქტს წარმოდგენდა.

ბიბლიოგრაფია:

1. *აბულაძე ი.*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, 93, 129.
2. *გიუნაშვილი ე.* (ტექსტის გამომცემელი) მცირე სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადა *ელგუჯა გიუნაშვილმა,* თბ., 1972, 139.
3. *დავითაშვილი გ.*, დანაშაულთა სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2017, 526.
4. *დოლიძე ის.* (ტექსტის გამომცემელი), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბ., 1963, 118-119, 146-147, 165-166, 171, 197, 206, 230, 233, 256, 278, 283-284, 292, 297, 308, 314-315, 396, 429, 443, 465, 467, 489, 503, 539, 540, 547.
5. *დოლიძე ის.* (ტექსტის გამომცემელი), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს), თბ., 1965, 180-181, 206, 488.
6. *დოლიძე ის.* (ტექსტის გამომცემელი), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს), თბ., 1970, 142.
7. *დოლიძე ის.* (ტექსტის გამომცემელი), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებები (XVIIIს), თბ., 1974, 107, 586.
8. *დოლიძე ის.* (ტექსტის გამომცემელი), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებები (XVIII-XIXსს), თბ., 1977, 399, 580-581, 586.
9. *ნადარეიშვილი გ.* ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნ. „ალმანახი“, 2000, №14, 55, 62-63.
10. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო *ი. აბულაძემ,* თბ., 1991, 159, 204, 408, 439.
11. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო *ი. აბულაძემ,* თბ., 1993, 32, 147.
12. *სურგულაძე ივ.*, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თb., 1952, 47.
13. *სურგულაძე ივ.*, ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ., 2000, 224.
14. *სურგულაძე ნ.* (ტექსტის გამომცემელი) იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი პირველი, თბ., 2000, 66.
15. *სურგულაძე ნ.* (ტექსტის გამომცემელი) იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ., 2002. 221.
16. *ფურცელაძე დ.* (ტექსტის გამომცემელი) სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ,* თბ., 1964, 98-100, 109, 62-63, 67, 84-85, 117.
17. *ჩუბინაშვილი დ.*, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მე-2 გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო *ა. შანიძემ*, თბ., 1984, 107, 138, 322, 645, 671, 908, 1105, 1161, 1264. 1492.
18. *ხიზანაშვილი ნ. (ურბნელი),* რჩეული თხზულებები, დასაბეჭდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შეინიშვნები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ., 1982, 356, 489, 490.
19. *ჯავახიშვილი ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 217.